

N 31 აქტივი N 35-მ გეი

წასი 10 8.

საბავშვო ჟურნალი



ბათომის კლიტე

№ 32

1920 წ.
ივლისის 4



ა.გ.

მეფეალთა მეფეს ხელთ უპყრია კობტა ვერცხლის სინი,
ზედ ბათომის კლიტე უძევს, ნაპოვარი შორსა.
ტურფას ერყვოს: „აჰა, შესწყულა შენ მტერთა სისინი...
ჩაიბარე, ძლივს წავართვი ეს კლიტე ზღვის ღორსა!“

ქ ი უ რ ი.

გუშინ დილით პატარა, მაგრამ არა სასიამოვნო წერილი მივიღე.

აი ის წერილი:

„პატივცემულო ეშმაკო! სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა თქვენ დაგნიშნათ საკონკურსოდ წარმოდგენილ მარშების შემოწმებელ ქიურის წევრად. თქვენ თანხმობა განაცხადეთ, ხოლო ქიურის მონაწილეობა არ მიიღეთ. ამის გამო, გულის სიღრმეში აღშფოთებული მთავარი შტაბი სახალხო გვარდიის სასტიკ პროტესტსა და უკმაყოფილებას გიცხადებს და სწყევტს თქვენთან ყოველგვარ კავშირს. შტაბის თავმჯდომარე ვალიკო ჯუღელი.“

მთელი გუშინდელი დღე არ მიძინია, ისე საშუხარო და დამაფიქრებელი იყო ჩემთვის ეს პატარა ბარათი.

მწუხარებას ჩემსას უფრო ის გარემოება აბრუნებს და ამძიმებს, რომ სრულიად უდანაშაულო ვარ ღვთისა და გვარდიის წინაშე. უმიზეზოთ ამ ქვეყნად არაფერი ხდება და მეც მაქვს, ჩემი შეხედულებით, საპატიო მიზეზი ჩემი მოქმედების გასამართლებლათ. მართალია, მთავარმა შტაბმა უკვე გამრისხა და ჩემსას აღარაფერს იწამებს, მაგრამ გვარდიელები, დარწმუნებული ვარ, ჩემს მოკლე განმარტებას მოისმენენ და ჩემს პრესტიჟს აღადგენენ.

მაშ სმენა იყოს და გაგონება.

მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ სახალხო გვარდიამ კონკურსი გამოაცხადა მარშზე და რომ ჩვენი კომპოზიტორები, განსაკუთრებით ცოცხლები, ენერგიულათ შეუდგნენ მარშების წერას, თუ გადაწყვიტა.

ვიტყვი იმასაც, რომ მე მოუთმენლად მოველოდი შეჯიბრების დანიშვნას, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, შტაბი მიმიწვევდა ქიურის წევრად და ამ გვარად მეც ჩემს წვლილს შევიტანდი სახალხო საქმეში.

„არც კაცი ვარგა, თუ ცუცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!“

ამის გამო აღვილი წარმოსადგენია ის ქეშმარიტი სიხარული და თუ გნებავთ აღტაცებაც, რომელიც ბუნებრივად განვიცადე, როცა რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა ჩემი ძვირფასი მეგობარი კოტე ფოცხვერაშვილი და მითხრა:

— ეშმაკო! შენ არ დაგაფიწყდეს, რომ ხვალ სალამოს სახელმწიფო თეატრში ქიურის წევრად ხარ დანიშნული.

— რაშია საქმე?

— მარშების კონკურსია დანიშნული.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ...

— ახლა ნუკი გაინაზები... ყველა რომ ეგრე მოიქცეს, კონკურსი აღარ შესდგება.

— სხვები ვინ იქნებიან?

— სულ ჩვენები არიან... შენი მეგობრები...

— მაინც?

— მაინც... ჩამოგითვის, ოღონდ უარს ნუ გვეტყვი. პირველათ დავასახელებ ლეო ნათაძეს...

— ვიცი, ძალიან კარგი, ჩინებული კანდიდატია!

— მეორეთ ვეგენი დარჩია, კოპერატიულ კავშირთა გამგეობის თავმჯდომარე. აღბათ იცნობ.

— რას ამბობ კაცო, ვიცნობ რომელია, იმითი მიღვია სული.

— მესამე, ამხანაგი დობორჯგინიძე... პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის...

— ვიცნობ, ვიცნობ, ჩემო კოტე, მაგრამ ალფესი ხელაძე რატომ არ მოიწვიეთ?

— პროფესიონალურ კავშირებიდან ერთიკმარა.

— ესეც მართალია, შემდეგ?

— შემდეგ აპოლონ ორაგველიძე.

— ა?

— აპოლონ ორაგველიძე კულტურ ნაწილში მუშაობს, კარგი ბიჭია.

— შემდეგ.

— დათიკო სალირაშვილი. მთავარი შტაბის წევრია...

— ახალ ამბავს კი მეუბნები... შემდეგ?

— შემდეგ, ალექსანდრე ჟორჯოლიანი.

— ეს რა კაცია?

— ჰუბლიცისტი.

— ძალიან კარგი. მერე?

— ალიოშა წუწუნავა.

— კარგი და პატიოსანი. მერე?

— სოლომონ ფრიტაძე.

— ეს რაღა კაცია?

— ქალაქის თავი უნდა იყოს სალდაც პროვინციაში.

— ჩინებულია. სხვა არის კიდევ ვინმე?

— როგორ არა. ვარდენ ქლიბაძე (რკინისგზის კონდუქტორი) მაქსიმე მთვარაძე (აბანოში მოსამსახურე) სპირიდონ თივიშვილი (მეზობსტნე, საბურთალოზე) მათე ხარიპარიაშვილი (მაწონის გამყიდველი) და იორდანე ქვირითიანი (თევზის მოვაჭრე).

— ჩინებულია, პირდაპირ ჩინებული! დიდის სიამოვნებით მოვალ მეც და ჩემს სიტყვას დავაწევ საზოგადოებას.

კოტე ფოცხვერაშვილი გამომეთხოვა და სალდაც ზევით აუყვა, მე ჩემი გზა განვაგრძე.

შედმეტათ არ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მძავს მეტიჩარა ხალხი. არ მიყვარს, როცა გამოხატება ვინმე და მისთვის შეუფერებელ საქმეს წაპოტინება. საბედნიეროთ ქართველ კაცს იშვიათად სჭირს ასეთი სენი, მაგრამ აქა იქ ჩვენშიაც შეხვ-

დებით მეტიჩარა პირებს. როდესაც კოტე ფოცხვერაშვილმა ჟიურის წევრები დამისახელა, მე ძლიერ ნასიამოვნები დავრჩი და ანატომაზე დასწრება აღუთქვი.

მარამ... (დიახ „მაგრამ“) სალამოსვე მეტათ არა სასიამოვნო გარემოება გამოირკვა. სახალხო გვარდიის შტაბს (მე არ ვიცი, იქნება ეს სხვა ვანმემ ჩაიღინა) სერიოზული ხასიათი ჟიურისა ჩაეწილა და უკვე ზემოთ აღნიშნულ მუსიკოსთა ჯგუფში ვილაკ გარეშე პირები ჩაეჩხირა. სხვებს აქ არ აღვნიშნავ. დავასახელებ მხოლოდ ვილაკ ჩერებნინს, კონსერვატორიის გამაგს. რა ამბავია რა მოხდა ბატ ნებო... რა კავშირი აქვს ჩერებნინს მარშების კონკურსთან! ნუ თუ საქართველოში კაცი ველარ ვიშოვეთ? ჟიურის არ იყო არც ფოსტა-ტელეგრაფის, არც ერობის, არც მილიციის, არც ტრამვაის საზოგადოების და არც შოფერების წარმომადგენელი. ბატონი ჩერებნინი კი სადღაც გამონახეს და შეაჩხირეს სიაში.

აშკარათ აღვიარებ, რომ ამ გარემოებამ ჩემში დიდი აღშფოთება გამოიწვია და გადავწყვიტე მიცემული დაპირება უკანვე წამომეღო. ასეც მოვიქეცი.

Всяк сверчок знай свой шестокъ „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“ უთქვამთ ჩვენს ძველებს.

აი როგორ იყო, ბატონო ჯუღელი, საქმის ვითარება და არა ისე, თითქოს მე უმიზეზოთ შევკუნტრუშებულყო და უარი შეთქვას ჟიურის წევრობაზე.

ვსთხოვ ყველა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი.

ეშმაკი.

შექანჯალებულის ლექსები!

ჰო, ჰო, ჰო, ჰო... როგორ ცხელა!...
სიცხემ ტვინი გამითხელა...
ცხელა! სიო არ სძრავს ფოთლებს,
სიცხის ბული ტვინს მიორთქლებს,
(გვჯობ—ვამტვრევ კიქას, ბოთლებს)
არაყს ექაჩავ—ვანთებ სანთლებს,
მტკვარზე ვაგორებ კამათლებს...
არ ვიცი, რა გამაგრილებს
(არას ვქამ—ვასვენებ კბილებს).
ქკვა თლათ გადამიბრუნდება...
ვიშ! ბათომი გვიბრუნდება!!
ჩვენი არის კვლავ ბათომი...
მოწყინათ ალბათ ომი
კუკ-კოლისებს, მის დამქაშებს...
დაუკრავენ ეხლა მარშებს
და შინისკენ მოჰკურცხლავენ...
ახვ! პოლოს! ეს შატლავეს?

ჩი უზუმა დუნ ჰორახი??
გნა! გნა! თეს გნა! თორემ ჯოხი!
და პოლოსაც შინ აპირებს—
ის ჰორახის ნაზ ნაპირებს
მწარე ცრემლით დაიტირებს...
ეხლა ბათუმის „ნადები“:—
გიჟმაყები ყაჩაღები—
ნადენიკინ-ნაკორჩაკები
(შიშით ანაჩაჩაქები)
გულს რო ლკლავთ სევდის ქვები
სევდები რომ გულს უწყლავენ—
სოროებში მოჰკურცხლავენ.—
მოსძიბნიან ისევ სოროს...
მაგრამ... ოჰხ! ღმერთმა გვაშოროს
ისინი იქ კვლავ დავტოვოთ—
(კვლავ ნელ-ნელა სისხლი გვწოვონ!?)
არა! არა! არ იქნება!
მე ყველას ვთხოვ-მომცეთ ნება—
(გვაწყენს დიდი მოთმინება)
ბათომი მსურს თლად გავწმინდო,
თუნდაც სული წავიწყმინდო,
იქ არავის არ დავტოვებ—
სულ ერთ ადგილს მოვაგროვებ
ნადენიკინ-ნაკორჩაკებს,
ყველას—მხეცებს—ყველა „მგელებს“
ტურას, კატებს, მაჩვებს, მელებს
კარაპეტებს და დარჩოებს—
(რომ არ გასცდენ კვლავ ჩარჩოებს)
მერმე „დროებს“ დაუძახებ.—
ყველას „არულს“ შეუძახებ
და შავ ზღვაში გადუძახებ.
თლად რომ სული წავიწყმინდო,
მსურს ბათომი რომ გავწმინდო...
მერმე დაჯდეთ მოვისვენოთ...
დაჯდეთ ბათომის ბულვარში...
ყველამ—დარში და ავდარში
ვიბანაოთ იქ შავზღვაში,
ასე მომდის მე ეს ჰკვაში...
თქვენ არ მოგწონთ?! — „დღელა ვაში“
ჰო, ჰო, ჰო, ჰო!.. ვით ჩამოცხა...
წადი კატავ—აცხა, აცხა!!
(სოფლებში იქცევა ფაცხა)
ოფლმა სახე ჩამომფარცხა—
იმნირად დაწვა, დამცხა
ვიხდი პერანგს, შარვალს, ტუფლებს
ეხ! რა ეშველება სოფლებს—
ყველასაგან დანაობლებს
(კისერში ჰკრეს დანა ობლებს)
ყველასაგან მონაძელებს
ვაი, ვაი... ძმავ ქიშკარდი.
დღე ლამ მკლავს შავი დარდი...
ვინ იყიდოს დღეს ძმავ მჭადი...
(არსათ არ ჰქრის შვების ბინდი)



ას თუმნად ფუთი სიმინდი?
 (ამას ჩუმათ გეუბნები)
 სად იშოვნონ ას თუმნები?
 სულ გაყიდეს ყველაფერი
 თითქმის ჩოგან(ა-ლაფერი*)
 (რა დაზილონ? არაფერი
 და რალათ უნდათ ჩოგანი)
 და რალათ უნდათ ლაფერი...
 აბა ნახეთ დღეს სოფლები—
 თუ სეიდა არ გეუფლებათ???!
 სწორედ ჯავრით შეიშლები!!
 იქ ჰყრიან ტირველ — შიშვლები.
 არც საბანი აქვთ, არც ლეგი
 აღარც ფიხზე, არც საცვლები...
 საბრალონი! ეჭხ! საწყლები!
 სოფლებს არა აქვთ იღალი—
 თუმც ეხლა აქვთ—ალუბალი,
 და მწითე-მწიფე ტყეაღლი
 (შიმშილის კარგი წაშალი)
 ზოგს კეფერას ნედლი მხალი,
 ზოგსაც სიინისო მხალი...
 (სკამონ—დააყოლონ წყალი...)
 ზოგსაც ცერცი, ზოგს ლომბიო.—
 (ხომ ასე არის სოფლი?)
 ზოგსაც ცოტა კართოფილი.—
 ხომ ხარ თედო კმაყოფილი?!
 ბალი სკამი და წყალი სვი—
 გულზე მოგივა ხალისი,
 მუცელზე ხელი წაისვი
 უეცრად არ წამოგბეროს
 (ჰკითხე, თუ არ გჯერა—ბეროს!)
 არ მოგწონს ძმაო შერმანი?—
 მწიფე ტყემლის შიქამანი?...
 ნუ დარობ თუ არ გაქვს მკადი...
 მაიათმინე, იყავ ჩუმი...
 მო, გიკეთდა აბრე ჰუმი?
 ხო, ასე სთქვი... არის კარგი?!
 სამ ათასად ფუთი პარკი—
 ამით ორ ფუთს ფქვილს იყიდი.—
 ტომრით ზურგზე მოიკიდი
 და კოლშვილთან ჩქარა მიდი.
 თეკლემ ცოტ-ცოტა დააცხოს
 ბაღშეებს ფრთხილად ტუჩს წააცხოს,
 თვით უსუნოს მკადის ყუას—,
 მე გასწავლით ასე კკუას.

ჩოგანი ძავ ელია,
 ლომის დასაზელოა,
 მ.გრამ შამოგველია.—
 არ გვაქვს ერბო ყველია
 არც გვაქვს არაფერი
 საშეაღება არა გვაქვს
 ვკამოთ მკადი ლომია
 ყველას მაშინ ვახსოვართ
 თუ გაჩაღდა ომია...

თუ რომ იტყვიოთ ია უას!!
 აბა, დელი, დელი, დელი...
 ჩვენ პური გვაქვს მოსამკელი...
 მოვიმარჯვოთ ყველამ ხელი—
 ფინაც კი ვართ თფილისელი,
 პური გვერგო ჩვენ ბორჩალოს,
 დავსძახებ პარი არალოს,
 „ჰოპუმს“ ა; დავაგუგუნებთ—
 პორსაც მოვმკით ჩვენ წლის სარჩოს—
 (ბრაზი ჰკლავს მეფურნე დარჩოს
 და თავს ახლის რკინის ჩარჩოს
 ძვირი პური აწ ვინ ჩარჩოს?)
 ერთი შეხეთ რკინის გზელებს,
 იმარჯვებენ ხელში ცეცლებს,
 მათაც პური მოსამკელი—
 ღმერთმა მოუმართოთ ხელი.
 სკამონ ლავაში თხელ-თხელი...
 წილათ ხელათ ახალქალაქი...
 (სოფლებმა სკამონ დალაქი.)
 ეს ქორი კა არ გეგონოთ?!
 ნათელია დღესავითა...
 „კალმახი და ქერის პური,
 მათ ეყრება ბზესავითა“
 ვინ არ იცის ჯავახეთი
 (რომ გვედავება სომხეთი)
 თუ პურით რა მდიდარია...
 (რას გვიზამს აწ ზამთარია?)
 შურით გვიცქერს ქუთაისი
 ქალაქებიც მსგავსი მისი.
 წილათ არ ხელათ პურის მაზრა =
 (და გულმა ეს დღეს მიაზრა)
 რომ ჩამოსდით მათ ცრემლები—
 პურს მოგვებოვენ იმერლები.
 მაგრამ... ნურას!... ძმავე შერმანი.—
 ჩვენ პური, თქვენ ლომი-მკადი...
 არ შემოგვეწყურეთ იყავთ დინჯი...
 აღიმ რუსებს მისცა ბრინჯი...
 თვითონ დარჩენ კი უფლაოდ...
 გარდაიქცენ სასაფლაოდ...
 და „წითლების“ სასაკლაოდ...
 ჩვენს ბოლშევიკთ მოსწონთ ზავი
 აზერბეჯთან შენაკრავი...
 ყოყორობენ... მოაქვთ თავი...
 გამარჯვებას შიგ ხელავენ...
 „თვითგამორკვევას“ იცავენ,
 გამორკვევით კი ჰხოცავენ...
 ვით მონადირე „ჩაიკას“
 ეს ზნე სკირს „ჩრეზვიჩაიკას“

შეკანჯალებული.



პატარა ფელეტონი

მოპარული ოცნება.

გამხელილი ცოდვა, თითქმის ნახევრად მიტე-
ვებულთა.

მე ქურდი არა ვარ. წარმოიდგინეთ დღევან-
რელ პირ-ბებშიაც არაფერი მომიპარავს.

უბრალო ვაგონი რა არის, რკინის გზის ვა-
გონი, ისიც კი არ მომიპარავს.

ეს ჩემი დღევანდელი ქურდობა პირველი იყო
და აკი ამისთვის მამხილა სინდისმა, ნაქურდალი
ველარ დავძალე და და თქვენს წინაშე მინდა გა-
მოვაფინო.

ის, რაც მე მოვიპარე ისევ იქ დარჩა, საიდა-
ნაც მე მოვიპარე. პატრონს არაფერი არ დაჰკლე-
ბია, ამ მხრივაც ჩემი დანაშაული შეიძლება შემ-
სუბუქებულ იქნეს.

მე ძლიერ გამაკვირვა იმ სასიამოვნო ღიმილმა,
რომელიც ივან ივანიჩის სახეზე ბოლშევიკების
თფილისში ჩამოსვლის დროს დავინახე.

ივან ივანიჩი წმინდა წყლის დენიკინელი იყო.
მისი ამხანაგები ბოლშევიკებმა ყველანი დახვრი-
ტეს. იმათი ქონება დაიტაცეს. ცოლშვილი...

დღეს ივან ივანიჩი, როგორც ჭეშმარიტი რუსი
ოცნებით მხიარულობს. ის ფიქრობს—რაც უნდა
იყოს, ბოლშევიკი მაინც რუსია, მაინც ჩემი ძმაო,
მხოლოდ ბოლშევიკებს შეუძლია აღრინდელი რუ-
სეთის აღდგენა; მხოლოდ იმათი საშუალებით შეი-
ძლება შეფის ტახტის აღდგენა; იმათი ხიშტით
უნდა გაიგვიროს ეს უმადური საქარ...

და იხატება ივან ივანიჩის წინაშე ბოლშევი-
კური საქმე ერთი მეორეზე მომხიბვლელი, ერთი
მეორეზე უფრო მიმზიდველი.

და უნდა გამოგიტყდეთ, ივან ივანიჩო დღეს
თითქმის ყველა ადგილობრივი რუსი, მისი ცხრა
მეათედი მაინც.

აღოლფ აღოლფაგ-ჩი ნეტავს რაღას იცინის?
ნუთუ ისიც შეყვარებულია ბოლშევიკებზე?

შეიძლება ისე ერთბირად არა, როგორც ივან-
ივანიჩები, მაგრამ აღოლფ-აღოლფიჩისაც გულში
ტკბილი იქნედი უხიციანებს.

— ბოლშევიკები ჩვენი ერთგული და მტკიცე
მოკავშირენი არიან. მხოლოდ იმათი საშუალებით
შეძლება ჩვენი საქმეები გამოსწორდეს. მიწა,
ვაჭრობა, გავლენა.

და წავიდა აღოლფ აღოლფიჩი ტკბილს ოც-
ნებაში.

— მხოლოდ ბოლშევიკები მიგვიყვანენ ჩვენ
აღთქმის ქვეყანაში, ოცნებობს ხაიმ ხაიმოვიჩი,

საქართველოში შემოხიზნული ებრაელი სპეკული-
ანტი.

ბოლშევიკები ჩვენ ვერ გავვწირავენ, ჩვენი
სისხლი და ხორცი არიან. ისინი ზრუნავენ ჩვენს
სიმდიდრესა და კეთილ-დღეობაზე. დაე მოვიდნენ...
აი ბოროსა ბოლშევიკი უკვე მათი ავტოკრატიით
დადის. ჩვენი ქალაქი მას ჩააბარეს...

და მიჰქრის ებრაელი სპეკულიანტი ოცნების
ფრთებით შორს, შორს, აღთქმის ქვეყნისაკენ.

ამბარცუმ ამბარცუმოვიჩი წინა რიგში იდგა,
როცა კიროვი სახლის აივან დან დეკორაციას
კითხულობდა.

— ბოლშევიკ. ოჰ შენი კირომე ბოლშევიკ,
ოცნებობდა ამბარცუმ ამბარცუმოვიჩი.—განჯაში
ბოლშევიკებმა ჩვენს მაგიერ შური იძიეს... აქაც
იძიებენ. იქ თათრებზე, აქ ქართველებზე..

და აღფრთოვანებულმა ამბარცუმ ამბარცუმოვი-
ჩმა სომხური ჰიმნი დაუსტვინა.

მე ყველაფერში ზომიერება მყვარს. მოპარვი-
თაც იქდენს მოვიპარავ რამდენიც საჭიროა, თუმ-
ცა რაოდენობას ნაქურდალისას არა აქვს მნიშვნე-
ლობა, ვინაიდან ნემსის ქურდიც და აქლემის
ქურდიც ორივე ქურდია.

ამ ზომიერების გამო აღარ შეგეხებ იმ გიჟურ
ცეკვას ოცნებისას, რომელიც ქართველ კომუნის-
ტთა თავში ნავარდობს. რაზე ოცნებობენ ისინი
და რას გამოეღიან ჩრდილოელ სტუმრებისაგან,
ეს ყველაზე უკეთ მოსკოვის ხაზინას ეცოდინება.

მორიელი.

აჭარისტანი.

სუკინ-ზადე, მისი ძმა, სამი ბიძაშვილი, ხუთი
მახლობელი ნათესავი და ათამდე მეზობელი ახლ-
გაზდები მეტათ კმაყოფილი იყვენ არსებული მდ-
გომარობით. ყველა მათზე და მათ საყვარელ აჭა-
რისტანზე ზრუნავდა.

ქემალ ფაშიდან ყოველდღე საჩუქრები და და-
პირებები მოადიოდა: 40000 ასკერი ლიმანშია და
ხვალ საღამოს ბათუმში იქნებაო. მართალია ორი
თვეა რაც ასეთ დაპირებებს მიირთმევდა სუკინ-ზა-
დე და მისი კონია საუზმეთ, მართალია ორი თვეა
რაც ასკერები მოდიან ლიმანიდან და ჯერაც არ
მოსულან,—მაგრამ აჭარლების მოსატყვევებლათ
ესეც საკმარისი იყო. ხოლო სამმა ლირებით შეი-
არაღებულმა ოსმალოს აფიცრება საბოლოოთ დაუ-
მტკიცა აჭარ-ქობულეთს ქემალ-ფაშის კეთილ გან-
წყობილება.

რუსეთში ორი დევი იყო წითელი და შავი.
სუკინ-ზადე ორივესთან კარგ განწყობილებაში იყო.
წითელს სოციალიზმზე ეფიცებოდა და შავს მო-

ნარკიზმზე; ერთსაც ატყვილებდა და მეორესაც, ხოლო მას ორივე ატყვილებდა.

მეგობრობა მაინც ძლიერი იყო: იარალი, ტყუია, წამალი და ფული ორივესაგან ბლომათ მოდიოდა.

ყველაზე უფრო სუკინ-ზადეს ინგლისელების „ნეიტრალიტეტი“ ახარებდა. როგორც კი საქართველოს ჯარი შეუტევედა სუკინ-ზადეს მაშინვე ინგლისელები მფარველობის კალთას გადააფარებდნენ და საქართველოს ჯარს უკან დაახევინებდნენ.

ასე ბედნიერათ მიდიოდა სუკინ-ზადეს დღეები. ერთხელ საყავეში მე და სუკინ-ზადე წარდს ვთამაშობდით.

განსაკუთრებით ამისთვის მომწონს მე აჭარისტანის მესვეურები: ყველა საოცხოვო მონარდვა. თავუნა ხომ სახელგანთქპული მონარდვა (იხ მისი ლექსი „დუბეში“), მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, სუკინ ზადესათან იგიც თითს მოკაკავავს.

ჰო და ვთამაშობდით წარდს.

საყავეში ხასანა შემოვიდა.

ხასანა მეტათ დინჯი კაცია. რამდენი ძნელი საქმე შეუსრულებია, მაგრამ აღედგებული ერთხელაც არავის უნახავს. იმ დღეს კი ხასანა მეტათ აღედგებული იყო.

— რას გვტყვი ახალს, ხასან ეფენდი? — შევეკითხე მე. — იარალი თუ მოგცა იონინმა.

— 17 ამ თვეს 100 000 პატონა ჩავიბარე და გავზავენე კიდევ 5 ფურგონით ხულოში.

— გზაში ხომ არაფერი შეემთხვეოდათ?

— არა.

— მაშ რამ ავადლევა?

— ინგლისელები მიდიან.

— როგორ მიდიან? ერთბაშათ შევეკითხეთ მე და სუკინ-ზადე.

— სულ მიდიან. ეხლავე სამხედრო თათბირი უნდა გაემართათ.

საყავეს უკან, ცალკე ოთახში საჩქაროთ ვაიმართა სამხედრო თათბირი. თათბირს ჩვენებს გარდა დაესწრენ დენიკინელების და ბოლშევიკების წარმომადგენელნი, როგორც სპეციალისტები და აჭარისტანის მეგობრები. თათბირმა მთავარ სარდლათ ერთხანთ აირჩია სუკინ-ზადე, როგორც ყველაზე გამბედავი, კარგი ცხენოსანი და მონარდე, ხოლო სახელი შევუცვალეთ: სუკინ-ზადეს მაგიერ კის-კინ-ზადე დავარქვით.

ეს ტაქტიკური ხერხი ვინმარეთ ინგლისელების მოსატყვილებლათ: კის-კინ ინგლისური სიტყვაა: მაკოცე, კინ! ზად-რუსლი: — გავა, უკანალი.

საქირო იყო დადგენილების გამოქვეყნება, ეს ჩვენმა მოკავშირეებმა ბოლშევიკებმა იკისრეს. სალამოს „ნაშ-კრაიში“ ეწერა:

— ინგლისელები მიდიან და აჭარისტანის მთავარ სარდლათ დანიშნა კის-კინ ზადეო.

კის-კინ-ზადემ უკვე მოიწვია შტაბში აჭარის-

ტანში გამოჩენილი პირები, მთავარ აღიუტანტათ დანიშნა პაიჭაძე, ცნობილი აბრაგი (აბრაგი ქართულათ ნიშნავს ყაჩაღს, თათრულათ-გმირს. ჩვენ თათრული შინაარსით ვხმარობთ). უკვე შესდგა აჭარისტანის ცხენოსანი პოლკი. პოლკში ითვლება 3 აჭარელი, 15 დენიკინელი და 5 ბოლშევიკი. ეს პოლკი ძალიან წააგავს ბაქოში კომუნისტების მიერ შედგენილ ქართულ პოლკს. სურსათი, იარალი და ცხენები პოლკმა ბათუმის საოლქო მილიციიდან მიიღო.

კის-კინ ზადეს არც ქვეითა ჯარი დავიწყებია. ქვეითა რაზმის შედგენა მე მომენლო, ჩვეულებრივი ენერგიით შეუდექი საქმეს, სამ დღეში უკვე სამას-კაცამდე მოგუყარე თავი.

ახლა არ იკითხავთ ამოდენა ლაშქარი როგორ მოვაგროვე?

სულ აღვილათ.

დუნდუკოვ-კარსაკოვის ქუჩაზე, როგორც მოგესენებათ, ბლომათა ყაფახანები იქ, ყოველ საღამოს ნახავთ თქვენ ახალგაზდებს: წარდს თამაშობენ, ნაკივს, ან ოსმალურ ყავეს მიირთმევენ, თუმცა არსად მსახურებენ და არც მუშაობენ. ესენი ნამდვილი თავისუფლების მოყვარე ხალხია, აი, ამათგან შევადგინე მე ქვეითა რაზმი. რაზმი აჭარლებისა, რუსებისა, სომხებისა და ქართველებისაგან შესდგება; უკანასკნელებში აბრაგობით (თათრული მნიშვნელობით) ქუთაისლები ყველას სჯობნიან.

ამ გვართ აჭარისტანის რესპუბლიკა მზათ არის.

პრეზიდენტი, იმავე დროს მთავარ სარდალი გვყავს — კის-კინ-ზადე.

ცხენოსანი და ქვეითა ჯარები გვყავს.

ტერიტორია გვაქვს.

ფულებს ქემალ-ფაშა და ბოლშევიკები გვაძლევენ (კოტაოდენი ადერბეიჯანიდანაც გვაქვს დარჩენილი).

იარალს — დენიკინელები.

მეტი სახელმწიფოსაც არაფერი უნდა.

ასე ავაშენეთ აჭარისტანი.

ყველაზე მეტი ღვაწლი კის-კინ-ზადეს მიუძღვის. მაღლიერი აჭარა-ქობულეთი მის სახელს არას დროს არ დაივიწყებს.

გრ. სლუჩინი.



გურული სცენა.

(„ბალშეენიკი და მენშეენიკი“)

— აფხანიკო ბალშეენიკო! ერთი აგი მითხარი: სათაა თქვენი თეთრი პური?

— ვაი, შენ დაგეფსო ყური, სათაა და რუსეთში..

— რავა ყრდინ გირვანქას?

— (დაცინვით.) რავა და ოთხაბაზათ...

— ისე ღმერთი შეგარცხვენს შენ ლამაზად, ოთხაბაზათ კიარა, ოთხას ორმოც და ათადაც კი ყრდინ მგონი გირვანქას...

— შენს პატრონს უბედურს... იქინე ფულს არა აქ ფასი, თვარა პური თავზე საყარათა...

— წაი და ბებიაშენი მუატყუე ანუსიე: პურის რა მოგახსენო და გვანი და რჯლიანი ტილები კია თურმე თავზე საყარათ...

— შენი აზრით აბა რუსეთს პური არ ქონა?...

— იძღნა არა, რავაც შენ ჩივი და პაწე ქე ექნებიენ წასახეფსებელი... ბეური თუ ქონდენ ბაქოიდან რეიზა წილეს?

— შე აბდალავ, რუსეთში წისქვილებია ბეური, დააქფოვენ და ისევე მეიტანებენ.

— იძის მეტი არ ქამე შენ, რაც იგინმა აწი აფერი მეიტანონ, მარა ერთი აგი მიბძანე: ასი ვაგონი ქი შიში, რომ წილეს იგიც უნდა დააქფიონ, თუ იცი?

— იგი ლელინს გუუგზანა ბაქოს მუშებმა საჩუქრათ...

— „ყვავს არ ქონდა ბუს მიქონდაო“.

— კი მარა მუშებს ვინ მისცა ასი ვაგონი ქი შიში?

— ვინცხამ მისცა ასთე კია და რა გინდა ახლა?.

— ფართალიც უნდა დააქფიონ? ნავთიც? მახუთიც? აფთიაქის წამლებიც?

— ჰო, ჰო, ასთეა შენს ჯინაზე უნდა დააქფიონ და რა გინდა ახლა?

— იძის მეტი შენმა კბილებმა არ დააქფია სამაგიეროთ ჭყინტი სიმინდი...

— რავა მალაზონსავით იწყევლები შე გლახავ, თუ გინდა ლაპარიკო, ილაპარიკე კაცსავით, თუ არა და გჯინებ ერთს ყურის ძირში...

— მჯინებ და კას ამბავს წილებ შინ, ჯინებ და სიგლახე კი იცით სხვაი აფერი თვარა... მართალი რომ გითხარი იმიზა შამოგენთო თანკარა?

— რაი მითხარი მართალი?

— დღე და ღამე ყურები გამოგვიყრუე ყველას, მუაქვენ, მუაქვენ ბალშეენიკებს, ყორიფელი მოაქვენო და მოტანის მაგიორ თურმე ყორიფელი მიაქვენ... მე შევიგონე თუ? აგინი თქვენ ვაზეთში არ ეწერა ყველგე? აგი გითხარი და ამიზა მოგივი-

და კუქი? არა ბიძია, არა, შენისთანების არც მოტანილი მინდა და არც წადებული.

— ისე ღმერთი შეგარცხვენს შენ...

— ღმერთიც შეგარცხვენს და ხატიც, მარა შენისთანა კაცს რა ეშმაკი შეარცხვენს, სირცხვილის-დონი შენ ქადიც არ გიქამია მგონი...

რ. ჯიბილ.

სახხერის იუბილეი.

დაბა სახხერის აბლაკატების ინიციატივით, გადახდილი იქნება ორმოცი წლის იუბილეი. სახხერის საზოგადოებაში კარგათ ცნობილ მცხოვანი აბლაკატის იაკობ იაკობიანცის პატივსაცემათ.

იშვითად მოიძებნება სახხერეში მემამულე, რომელსაც თავის ადგილ-მამული ხუთჯერ მაინც არ გაეყიდოს, სხვა და სხვა პირებზე და (ერთი და იგივე მამალი) საჭიროა აღინიშნოს რომ საქმის მოკვარახტინება იურიდიულად, იაკობს ქონდა დაკისრებული. ის დღემდე პირნათლად ასრულებს ნაკისრ მოვალეობას. თუმცა მოხუცებულია, მაგრამ საქმეს დიდი ენერგიით ეკიდება.

ის როგორც გამოცდილი და აღზდილი ნიკოლოზის კანულებზე, დემოკრატიულ რესპუბლიკაშიაც დიდებულათ აწყობს მახინციებს, მისი კოლეგა დავით დევიანცს ვაცილებით სჯობნის.

სახხერის საზოგადოება დიდთ აფსებს მათ მოღვაწეობს და დიდი ზემოთ ემზადების დღესასწაულისათვის. იუბილე დღის წესრიგი ასეთი იქნება:

1, ქალაქი იქნება მორთული დენიკინის დროშებით.

2, „მოდი ნახეს,“ ციხიდან ოცდა ერთჯერ გაისვრიან ზარბაზანს ნიშნათ პატივისცემისა.

3, სახხერის მთავარ ქუჩაზე, ვაგზლიდან სხვიტორის ჩასახვევამდე, ტრაპეზი მთელი დღე შეჩერებული იქნება.

4, ქარვასლები და მაღაზიები და ყველა დაწესებულება დახურული იქნება.

5, იუბილიარს მიულოცვენ აბლაკატთა წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან. სახხერიდან ევს. ტყემალიანტი.

6, ქალაქი საღამოს ელექტრონებით იქნება გაჩაღებული.

7, ნადიმი გაიმართება საპატო პირებისათვის აღმასხანის სასტუმროში.

მართალი უთქვამს დიდებულ მგოსანს „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

მაშხალა.

საბჭოთა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა.



საბჭოთა რუსეთის „მალაზია“ წინიდან.*

თ ხ ო ვ ნ ა

თხოვნას მოგართმევ შირიან
 „პოლიტ-კომ“ ნახოტურისა,
 თვალის მდევნელო ავკაცთა
 ავ საქმის მგდებო ყულისა...

სწორ უპოვარო მოხელევ
 ამ დარგის სამსახურისა,
 კეთილის მცველო, ბოროტზე
 მაძიებელო შურისა.

ვით დამნაშავეს მსაჯულმა
 გთხოვ მეც მათხოვო ყურია,
 ფოთის სახალხო გვარდიის
 ნაწილში მიმსახურია,

თუმცა მე იგი მომცილდა
 ღორის ხორცს, ვითა ურია,
 მარა სიმართლე ბარელამ
 ბოლომდე ითქვას მწყურია.

მერომ გუნდიდან გამრიცხეთ
 ვით გამყიდველი ქაცარის,
 ცხენის და ნოხის ქურდები
 ამ გუნდში კიდევ რაც არის

სხვა და სხვა გვარი ჯიშისა
 ხომ არ გაქვთ ხათრი შიშისა?
 რათ არ ისჯება ისინიც
 როგორც რიგი და წესია?
 თუმცალა ცხენის ქურდობა
 თხისაზე უკეთესია.

საბჭოთა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა.



იგივე „მაღაზია“ უკანიდან.

მარა ეს კიდევ არ ნიშნავს
ქურდობის პატიებასა
და გეკითხები, ვით მსაჯულს,
თუ მომცემთ ამის ნებასა.

როდის იქნება ვარჩევა
ჩემსაებ ცოდვილ გვამების
რადგან ეგ საქმე, როგორც ვუნდს,
აგრეთვე მეც შეამების

ერთი რომ მათაც იარონ
გზა ჩემგან მწარედ ნაფალი
მისთან ქურდებმა ვერც ერთმა
ვერ ნახონ გამოსაფალი.

სხვამც თუ მოიპარა
ჩემი დასჯა კპარა?
ეს თუ არ ქენით მსაჯულნო
ცოდვა გატებით სჯობია

სხვებთან მეც უნდა დავრწმუნდე
ყოფილა ჯიბილობია

მაშინ მოვიკრებ ქურდობის
ძალ ღონე რაც მამადია
სხვილ ფეხს ვიპარავ შემდეგ კი —
უკან მიმიღებთ ცხადია

თვარა ამ საქმის დევნაში
თავი არ დამიზოგაა
ქურდები ყველა გამოტყდეს
ძიკი იყოს თუ გოგია

რაც თქვენ გამრიცხეთ უცრემლოდ
პირი არ დამიბანია
სხვების დასჯა:აც მოველი
თქვენგან დასჯილი...


მონღობილობით ბუტუნა.

მცირე დარიგება ჩვენი ახალი „სტუმრებისათვის“

ანუ როგორი უოფაქცევა ითვლება ჩვენში უწესოთ.



საზოგადო ადგილას ჭიბამდე გულის მოღელა.



ქუჩაში გამვლელისთვის გვერდის აკერა.



საკითხის გაღრმავებისას ცხვირის წესტოს გაღრმავება.



იპტაკზე ფურთაგება.



დაგლეჯილი ჩეჭმების უალოგო ალავას ჩაგდება.



სხვისი თვფშიდან ლუკმის აღება.

საერთაშორისო ცეცხლი



კომუნისტი. ჩვენ რუსეთში გავაჩაღებთ რევოლუციის რსეთ კოცონს, რომ მისი ალი მთელს ქვეყანას მოედვას და საერთაშორისო ცეცხლში გაჭხეცოს დედამიწა. (ცეცხლს უკიდვებს თავის სხელს)

ფ ლ ა ვ ი

1) „ბაქოს“ კომუნისტებმა 50 ვაგონი ქიშიში გაგზავნა მოსკოვში.“

2) „ბაქოს რევკოვმა 10,000 ცარიელი რომარა გაგზავნა ენზელში ბრიჯიტის მაგრამ კუჩუხანსა ბრინჯის მიცემასზე უარი უთხრა, კომუნისტებს.“ (გაზეთებიდან).

ა

ის იყო თენდებოდა, როცა ქიშიშით დატვირთული 50 ვაგონი მიადგა წითელი მოსკოვის სადგურს. მოსკოვი დიდი ხანია ელოდა ამ საჩუ-

ქარს „ბაქოს პროლეტარიატისაგან“ და ამიტომაც სადგურზე სოენორხოზის წარმომადგენელთა გარდა აურებელი რევკომები, ისპოლკომები, ნარპუტები, ვოლკომები, ვეჩიკები და სხვა წარჩინებულნი დახვდნენ.

- გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატს!
- გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს!
- გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატის ლიდერს სულთანოვს! აღტაცებით ყვიროდნენ დამხდურნი და განა ხუმრობა იყო დამშფულ მოსკოვისთვის 50 ვაგონი ქიშიშიში!
- ამხანაგებო—დაიწყო კუზმამ, რომელმაც ბაქოდან ქიშიშიში ჩამოიტანა,—წითელ აზერბეი-

ორი კომუნისტი



ჯანმა დაწვალა გადმოქცეთ მოსკოველ ამხანაგებს გულწრფელი სალამი და ნიშნათ პატივცემისა მოგიძღვნათ ეს 50 ვაგონი ქიშმიში. თანაც დამავალეს გადმოგცეთ, რომ ამ დღეებში იმავ საბჭოთა ადგილებზე გამოგზავნის თქვენ სახელზე ამდენსავე ბრინჯს.

— ბრავო, გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს, მძლავრათ ყვიროდა ხალხი.

— სანამ ბრინჯს მოვიტანდე, განაგრძო კუზმამ, თქვენ ქიშმიში დაარჩიეთ, რომ აზ. ლენინს იუბილზე აღმოსავლეთურ მუსულმანურ ყაიდაზე ფლავით ვიდღესასწაულოთ. ასეთია ამხანაგებო სურველი წითელ აზერბაიჯანისა.

ბ

ბაქოს სოენარხოზი, ვიდ ფაცა-ფუცშია, მას ბრინჯისათვის ათი ათასი ტომარა სჭირია. ხუმრობა ხომ არ არის ამდენი ცარიელი ტომარა ასე ერთბაშათ. მოახდინეს ტომარების წითელი სუბოტნიკი, გამოაცხდეს სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ყოველ მუსულმან ქალს

უნდა მოეტანა სოენარხოზისთვის თითო ჩადრი, რომ ის ტომრათ შეიკრათ. როგორც აყო შეაგროვებს საკმარის რიცხვით ტომრებსა, და განსაკუთრებული, — „გლავკობრინჯის“ ხელით გაგზავნეს ვნუელში ქუჩუქ ხანთან.

— რუსეთის წითელ პროლეტარიატის სახელით მოგესალმებით ამხანაგო ქუჩუქ—დაიწყა გლავკობრინჯმა— „თქვენ და თქვენის სახით მთელ წითელ“ სპარსეთს.

— გმადლობთ მეგობარო— მიუვო ქუჩუქ-ხანმა—

— წითელ რუსეთის სახელით მაქვს პატივი წარგსდგე თქვენს წინაშე, როგორც განსაკუთრებული გლავკობრინჯი.

— რაო რა ბრინჯიო?

— გლავკობრინჯი! სათანადო მანდატებიც მაქვს მოცემული სოენარხოზისაგან.

— რისთვის გარჯილობართ, რა გნეზეთ?

— მოგეხსენებათ რომ წითელი რუსეთი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინის 50 წლის იუბილეს იხდის.

— მერე?

— იუბილეს უნდა მიეცეთ აღმოსავლეთური,

საბჭოთა ბურჟები



კამენევი და რადევი.

აზიური ხასიათი. უნდა დავამზადოთ მოსკოვისათვის ერთი თვის საკვები ფლავი. მოგეხსენებათ მოსკოვი, როგორც სოციალიზმის სამეფო, ბრინჯს და სხვა ამის მსგავს აზიურ საჭმელებს მოკლებულია. ამიტომ დავადგინეთ მოგვეცეთ თქვენ ათი ათასი ტომარა ბრინჯი; ნარბოზი დარწმუნებულია რომ თქვენ, როგორც ლიდერი საბჭოთა სპარსეთისა დააკმაყოფილებთ მის თხოვნას.

— მოახსენეთ ამხანაგ ნარბოზს, რომ მე როგორც სპარსელი მონატრული ვარ იმისი, რომ ჩემი ქვეყნის მშრომელ ხალხს არაფერი აკლდეს და კმაყოფილი იყოს თავის ბედისა. ამიტომ, არ შემიძლია თხოვნა ავასრულო. უკეთეს წითელი რუსეთი ბრინჯის საფასურათ გამოგზავნის რაიმე ღირებულებას, მაგალითად: ოქროს, ვერცხლს ან კიდევ სხვა ამის მსგავს ღირებულებას, მაშინ...

— რუსეთის სოციალიზმის სახელით, გიცხადებ ამხანაგო ქუჩუკ რომ სპარსეთის ბრინჯი საკუთრებას შეადგენს, როგორც სპარსეთისას ისე წითელ რუსეთისას, განა სოციალიზმის მიზანი არ არის...

— არავითარი მიზანი! — გააწყვეტინა ქუჩუკმა

— ეს თქვი და გათავდა. მე მუქათათ არც ერთ მარცვალს ბრინჯს არ მივცემ მოსკოვს.


გლავკობრინჯმა ბევრი დებულებები დახარჯა რომ სპარსეთის ბრინჯის ნაწილი რუსეთს ერგებოდა, მარა არავითარმა საბუთმა არ გაქრა ჯერ კუჩუკ-ხანთან, რამაც ნათელყო მისი კონტრ-რევოლიუციონერობა.

მეტი რა გზა იყო, „გლავკობრინჯი“ ცარიელი ტომრებით დაბრუნდა ბაქოში.

გ

ქიშმიშის დასარჩევით მოსკოვის რევკომმა განსაკუთრებული „ქიშმიშის სუბონტიკი“ გამოაცხადა. გარჩევას უკვე კარგი ხანია რაც მორჩენ, ჯერი ბრინჯზე იყო მიმდგარი.

მოსკოვის მუშებმა 10 საათის მაგიერ 14 საათს მუშაობა შემოიღეს იმდენათ გააზარა ისინი ქიშმიშის მიღებამ და ბრინჯის მოლოდინმა, მაგრამ, როცა ბრინჯმა ძალიან დაიგვიანა. მაშინ კი დაფიქრდნენ, ნუთუ მოატყუილა მოსკოვი ბაქომ? ნუთუ ფლავს ვეღარ ვჭამთ? ისმოდა აქა იქ უკმაყოფილო ხმა მუშებისა, მაგრამ საქის ნამდვილი



ჯითარება მანამ ვერ გაიგეს სანამ მოსკოვში არ ჩაე-და ბაქოს „გლავკობრინჯი“ კუზმა მიტიუხინი რომელიმე სამწუხარო ამბავი ჩაუტანა მოსკოვს.

— სპარსეთის კონტრ-რევოლუციონერმა ქუჩუკ ხანმა ცივი უარი სთქვა ბრინჯის მოცემებზე — განუცხადა კუზმამ სოფნარხოზს.

მიზეზთა რა მოიყვანა ამხანაგო!?

— თუ ოქროს ან ვერცხლს მომცემს რუსეთი მაშინ მივცემ ბრინჯსაო, თუ არადა მე სპარსელ ხალხს ვერ გაფარცავ მოსკოვისთვის.

ამ ამბავმა თავხარი დასცა მთელ მოსკოვს.

ფლავის ლოდინში ყველას ნერწყვი ჰქონდა პირზე მომდგარი, მოიწვიეს შეერთებული კრება ნარ-

კომებისა, ნარხოზებისა, გლავკონებისა და სხვა დადგინეს გამოუცხადონ ქუჩუკ ხანს სასტიკი პროტესტი მოსკოვის პროლეტარიატის უფლავოთ დატოვების გამო თან წაუყენონ მას ულტიმატუმი დაუყონებლივ გამოგზავნოს 10000 ტომარა ბრინჯი წინააღმდეგ შემთხვევაში სპარსეთი მოღალატე იქნება სოციალიზმისა და დაისჯება.

კრება დაიშალა კრების ყველა წევრი დაღონებული წავიდა შინისკენ, არც ფლავით გაძღომის იმედი ქონდათ, და არც ქუჩუკ-ხანის მოქკვიანებისა.

გ. ბომბოთელი.

ორი ტაკი-მასხარა Два Клоуна



ცირკის ტაკი-მასხარა. (სოფლებიის ტაკი-მასხარას) ეს ჩემი ქუდა რომ დაგიურავს, მითომ რაო არა გცხვენია, კონკურენ კიას რომ მიწევ და ლეკვა პურს მეკილები?
Клоунъ изъ цирка. Апчи! Ку-ку-реку! Здравствуй Ревкомъ Совнархозовичы! Ну, какъ у тебя тамъ... въ башкѣ... то бишь въ Башкирїи... все ладно, а?